

მხატვრული ტექსტის შექმნის ძირითადი სტრატეგიები ქართულში

გელდიაშვილი ნუნუ

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-6846-7924>

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი
<https://doi.org/10.52340/idw.2025.28>

აბსტრაქტი. მხატვრული ენა, როგორც პრაქტიკული სტილისტიკის გამოხატულება, ცალკე განხილვადი სფეროა და, უდავოდ, მკაფიოდ იმიჯნება ფუნქციონალური სტილის სხვა სახეობებისაგან. ქართულში ამ ტიპის ტექსტის შესაქმნელად ნაირგვარ ენობრივ შესაძლებლობას განიხილავენ, თუმცა მწერალი მათგან სტრატეგიულად და ოსტატურად რომლებს აირჩევს მიზნის მისაღწევად, აზრის გამოსახატავად, მის მოხერხებაზეა დამოკიდებული. ეს ადვილი ნამდვილად არაა. ჩვენი აზრით, სწორედ მათი საშუალებით უნდა დაიპყროს მან მკითხველის გულები და შექმნას ისეთი საკუთარი ინდივიდუალური ხელწერა, თავისი სამყარო, რომლითაც სრულიად განსხვავებული აღმოჩნდება სხვათაგან. სწორედ ამ მიმართებით ჩვენი დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს დავით თურდოსპირელის (ჩხეიძის) შემოქმედება.

როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევა ნათელს ხდის, რომ მწერლისათვის მთავარი არა მხოლოდ მსოფლხედვა, არამედ მისი გამოხატვის ადეკვატურობაა, რასაც შესანიშნავად ახერხებს მხატვრული ტექსტის შექმნის ძირითადი სტრატეგიებით - ტროპული მეტყველების ნიმუშების სიუხვითა და მრავალფეროვნებით. მათგან ძირითადი **მეტაფორა** - ავტორის უშუალო შემოქმედების ნაყოფი და მხატვრული სახის შექმნის საუკეთესო საშუალება. მათი მეშვეობით საგნებისა და მოვლენების ნიშან-თვისებათა დაკავშირება უშუალოდ მწერლის ინდივიდუალობით განისაზღვრება: „ტყეს სიხარულისაგან სახე აუფეთქდა“; „...ბნელოდა კიდეც, ნესტიც იდგა, შიმშილიც იზმორებოდა“; „ერთ მთვარიან ღამეს გაისმა ზამთრის თითების კაკუნი“...

შედარებით, გამოსახვის ამ სტილისტიკური ხერხით და მხატვრული დახასიათების ერთ-ერთი გამორჩეული ფორმით, დავით თურდოსპირელი დიდებულად ახერხებს საგნებისა და მოვლენების ერთმანეთთან შეფარდებასა თუ, გარეგნულად მსგავს ან შინაგან დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა გადატანის საფუძველზე, შეპირისპირებას. შედარებების საკმაოდ მდიდარი მასალა საანალიზო ტექსტებში შექმნილია სხვადასხვა ხერხით და დატვირთულია ემოციური ელფერი: „-საოცარია, არავითარი მებაღე არა ჰზრუნავს მათზე... არავინ უვლის... ასე ტურფანი კი არიან... თითქოს ნამით კი არა, მსუყე რძით იყვნენ ნაპკურები და ნაზარდნი...“; „რცხილა ლაწალუწით გადაეშვა... სახელოვან გმირსავით დაეცა უთანასწორო ბრძოლაში“.

ეპითეტი მხატვრული და არამხატვრული სტილის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ხაზს უსვამს მოვლენის თვისებას და გამოიყენება შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით. იგი მკვეთრად გამოხატავს მთქმელის იდეურ თვალსაზრისს და სუბიექტური მრწამსის ნიუანსებს. ამასთან ერთად, ალამაზებს და ამკობს საგნისა და მოვლენის სახეს, ან უარყოფითად ამდაბლებს და აკნინებს მას. განსაკუთრებული კვლევის საგნად კი ჩვენთვის მეტაფორული ეპითეტი იქცა. რაოდენობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს მოვლენა ხაზგასმულად სახასიათო სტრატეგიაა: „გვიძლიერდებოდა სურვილი, როგორმე შევმძვრალიყავით და გაგვეთბო გაჭირხლული სახსრები“. „უფათერაკოდ გადავიარეთ გიჟთვალა ხეები“; „ხეების შემომწვარი ჩონჩხები გატიტვლებული იყვნენ აღმართულნი“.

გაპიროვნება (პერსონიფიკაცია) მხატვრული გამოსახვის ხერხია, რომლისთვისაც დამახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, **უსულო და სულიერი საგნების გაადამიანება**. გაპიროვნებისას უსულო საგანი წარმოგვიდგება როგორც ადამიანი, რომელიც გრძნობს, მსჯელობს, მოქმედებს: „**ტყეს ჟრჟოლამ** დაუარა“; „ვიდეო ბევრს **იჭარტალებდა ასკილი**, მაგრამ ბოროტ ვიქრთა დენა შეუწყვიტა ბავშვების ჟრამულმა“; „სიამოვნებისგან ათრთოლდნენ ყაყჩოები“; „მთელი ღამის განმავლობაში **ქვითინებდა ქარი**“...

ამდენად, საკითხის ანალიზი ადასტურებს, რომ ტროპული მეტყველების ნიმუშების სიუხვე მხატვრული ტექსტის შექმნის ძირითადი სტრატეგიაა. ისინი, მართლაც, გადამწყვეტ როლს ასრულებენ ექსპრესიისა და ეფექტის მიღწევაში. მაღალმხატვრული ოსტატობით მოხმობილი ნაირგვარი საშუალებები კი მკითხველს ეხმარება ტექსტის იდეური საზრისის უკეთ აღქმა-გაანალიზებაში.

საკვანძო სიტყვები: მხატვრული ტექსტი; ძირითადი სტრატეგიები; დავით თურდოსპირელის (ჩხეიძის) შემოქმედება.

შესავალი

შემოქმედებითი/მხატვრული ენა, როგორც სტილური ნაირგვაროვნება და პრაქტიკული სტილისტიკის გამოხატულება, ცალკე განხილვადი სფეროა და, უდავოდ, მკაფიოდ იმიჯნება ფუნქციონალური სტილის სხვა სახეობებისაგან. ქართულში ამ ტიპის ტექსტის შესაქმნელად სხვადასხვა ენობრივ შესაძლებლობას განიხილავენ, თუმცა მწერალი მათგან სტრატეგიულად და ოსტატურად რომლებს აირჩევს მიზნის მისაღწევად, აზრის/იდეის გამოსახატავად, მის მოხერხებაზეა დამოკიდებული. ეს ადვილი ნამდვილად არაა. ჩვენი აზრით, სწორედ მათი საშუალებით უნდა დაიპყროს მან მკითხველის გულები და შექმნას ისეთი საკუთარი ინდივიდუალური ხელწერა, თავისი სამყარო, რომლითაც სრულიად განსხვავებული აღმოჩნდება სხვათაგან.

საკითხის შესწავლა-ანალიზი ადასტურებს, რომ ტროპული მეტყველების ნიმუშების სიუხვე ძირითადი სტრატეგიაა, ისინი უმნიშვნელოვანეს, გადამწყვეტ როლს ასრულებენ ტექსტთა მხატვრული ეფექტის შექმნაში. მაღალმხატვრული ოსტატობით მოხმობილი საშუალებები მკითხველს ეხმარება იდეური საზრისის უკეთ აღქმა-გაანალიზებაში.

როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევა ერთი შეხედვითაც ნათელს ხდის, რომ საოცარი თვითმყოფადი და ორიგინალური სახითაა დავით თურდოსპირელის (ჩხეიძის) შემოქმედებაში მხატვრულ-გამომსახველობითი პალიტრა; მწერლისათვის ცალსახად მნიშვნელოვანი და მთავარი არა მხოლოდ მსოფლხედვა, არამედ მისი გამოხატვის ადეკვატურობაა, განსაზღვრა იმისა, რას და რატომ იყენებს, რამდენად აღწევს მიზანს და რას სძენს ამით ხატოვან აზროვნებას; ალბათ, ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის, რომ დავით თურდოსპირელის ტექსტი საოცრად მრავლისთქმელი და მრავალაწახნაგოვანია, მდიდარ საილუსტრაციო მასალას იძლევა არაერთი ნიშანდობლიობის გამოსავლენად.

მსჯელობა

დავით თურდოსპირელის მხატვრული ტექსტის შექმნის ძირითადი სტრატეგია ტროპული მეტყველების ნიმუშების სიუხვე და მრავალფეროვნებაა. მათგან ძირითადია **მეტაფორა** - ავტორის უშუალო შემოქმედების ნაყოფი და მხატვრული სახის შექმნის საუკეთესო საშუალება. მათი მეშვეობით საგნებისა და მოვლენების ნიშან-თვისებათა დაკავშირება აშკარად მწერლის ინდივიდუალობით განისაზღვრება.

აღნიშნავენ, რომ მეტაფორის შინაარსი იქმნება სინამდვილის (სულიერ თუ უსულო) საგანთა შერწყმით. ამის მიხედვით განარჩევენ მეტაფორების ოთხ ძირითად ტიპს: ა) როცა უსულო საგნის თვისება გადატანილია სულიერ საგანზე; ბ) სულიერი საგნის თვისება გადატანილია უსულო საგანზე; გ) უსულო საგნის თვისება გადატანილია უსულო საგანზე; დ) სულიერი საგნის თვისება გადატანილია მეორე სულიერ საგანზე (ჭილაია, 1984, 204).

საანალიზო ტექსტებში დასახელებული ჯგუფებიდან ნიშანდობლივი აღმოჩნდა სულიერი საგნის თვისებების გადატანა უსულო საგანზე; მეტაფორების თითქმის ნახევარი სწორედ ამ ჯგუფს განეკუთვნება:

„გადავდგით ფეხი **ვეშაპი კორპუსის ზღურბლზე**“ (თურდოსპირელი, 1961, 165);

„მიგვიღეს იმ საკნებში, სადაც ბნელოდა კიდეც, ნესტიც იდგა, **შიშშილიც იზმორებოდა**“ (თურდოსპირელი, 1933, 67)

„ყოველი **ხე იფაფრებოდა**, მაგრამ რას გააწყობდა“ (თურდოსპირელი, 1961, 43);

„**ტყეს** სიხარულისაგან **სახე აუფეთქდა**“ (თურდოსპირელი, 1961, 48);

„ელოდა, **ემზადებოდა ზამთარი**“ (თურდოსპირელი, 1961, 86);

„ერთ მთვარიან ღამეს გაისმა **ზამთრის თითების კაკუნი**“ (თურდოსპირელი, 1961, 86);

„ფურღვანა **ბალახს** ქოლგა გაუშლია და **კოპწიაობს**“... (თურდოსპირელი, 1947, 58);

„ქოხში ობლები ცხოვრობენ... **ქარი ანჩხლობს... ღამე ჭინკების შეშლილ თვალებით იჭრება შიგა... ჰშიათ... სცივათ... ტყუილად მოუხმობენ მშობლებს**“... (თურდოსპირელი, 1947, 52);

კვლევამ გვიჩვენა, რომ სულიერი საგნის ნიშან-თვისებები მეტაფორიზაციის საფუძველია. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ სიდიდით მეორე ჯგუფში სულიერი საგნის თვისებაა სულიერზე გადატანილი:

„ისედაც **ფრთაჩამოშვებული მოწაფენი** გაცბნენ, გაილურსნენ, მასწავლებელი კი განაგრძობდა გაკიცხვა-გაკილვას“ (თურდოსპირელი, 1961, 39);

„ბავშვებს გამოეღვიძათ, **ყურები სცქვიტეს**“ (თურდოსპირელი, 1961, 86).

უსულო საგნის ნიშან-თვისებები თითქმის თანაბრად ვრცელდება სულიერ და უსულო საგნებზეც:

„**პეტრე აენტო. ცეცხლი წამოსცვივდა თვალებიდან**“ (თურდოსპირელი, 1933, 34);

„**აღფრთოვანების სახნისით ვიწყე ხენა ახალგაზრდათა სულის ახოებისა**“ (თურდოსპირელი, 1933, 49);

„ეს **ადგილი** ჩვენი **წინაპრების ტანჯვის აკვანია**“ (თურდოსპირელი, 1947, 30);

„ჩვენ ისევ **მდუმარების კვერთხებს დავებჯინენით** და თვალი მივაპყართ მოხუცს“ (თურდოსპირელი, 1947, 34);

„მაგრამ დედის ამ ხმებში **ცრემლებიც კი წვრიალებენ**“ (თურდოსპირელი, 1933, 65);

„...ახ, რა ყოფილა **ხანძარი!**... იგი ხარია გაუმადლარი: ხარბად ძირში სძოვს **ბალახ-ბულახებს**, ყლორტებსა და ხეებზე ფოთლებს არა სტოვებს. თუნდა კენწეროებზე შრიალებდეს, მისწვდება, გრძელი, **წითელი ენით** და **მიკორტნ-მოკორტნის, გააშიშვლებს**“ (თურდოსპირელი, 1947, 41);

„ის კი ზის და ოცნებობს **მოახლოებულ ქარიშხლებზე**“ (თურდოსპირელი, 1961, 165);

„ვერც კი მოასწრო თვისი **კარვების ყველგან დადგმა**, რომ **განთიადმა გაშალა დროშები**“ (თურდოსპირელი, 1961, 86);

„საღამო იყო, ჩამავალ მზისგან ცას **ხანძარი გასჩენოდა**“, ყალანქარი **ნისლის დროშები წითლად გაშლილიყვნენ ცაზე**“ (თურდოსპირელი, 1947, 12).

„ყოველთვის როდია მონის ქედი ამტანი... ერთხელაც არის დასწყდებიან **მონობის აპეურები... აპირთავდა მოთმინების ფიალა** (თურდოსპირელი, 1947, 31);

„**ალის გველების ქარავნები შემოესია ტყეს**. არსად ჩანდა მშველელი... **გაშალა წითელი ფრთები** და წელში გამწყდარ გველსავით იწყო სივილი“ (თურდოსპირელი, 1947, 41);

„გაისმა ბუკ-ნადარის **ხმა... მან სიჯიუტით შეუტია ზამთრის ბარიკადებს და გადალახა... მილეწ-მოლეწა ... გაწბილებული მიიპარება ზამთარი**“ (თურდოსპირელი, 1947, 57);

„ეგ არ ბრძანდებოდა, რომ **ყინვის ნემსებით** ხან აღმა **შეისერიწებდა**, ხან დაღმა? დღე ერთი იყო და მისი ნამქერ-ზვავები უანგარიშო“ (თურდოსპირელი, 1947, 57);

„დედამ ჩვენც წაგვიყვანა. უნდოდა ავლაბრის ჩვენ მოსაწყენ, **რუხ ცხოვრებაში სიხარულის ცისარტყელა აეელვარებინა**“ (თურდოსპირელი, 1933, 19) ...

„ფურღვანა **ბალახს** ქოლგა გაუშლია და **კოპწიაობს**“... (თურდოსპირელი, 1947, 58)

ანალიზმა ცხადყო, რომ მეტაფორა, როგორც ტროპის ერთ-ერთი ძირითადი სახე, გამორჩეულად დამახასიათებელია საანალიზო ტექსტებისათვის.

შედარება, გამოსახვის ამ სტილისტიკური ხერხით და მხატვრული დახასიათების ერთ-ერთი გამორჩეული ფორმით, დავით თურდოსპირელი დიდებულად ახერხებს საგნებისა და მოვლენების ერთმანეთთან შეფარდებასა თუ, გარეგნულად მსგავს ან შინაგან დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა გადატანის საფუძველზე, შეპირისპირებას.

არსებული შედარებების საკმაოდ მდიდარი მასალა საანალიზო ტექსტებში შექმნილია სხვადასხვა ხერხით და დატვირთულია ემოციური ელფერი.

„ა) შესადარებლად გამოყენებულია ადამიანური, საზოგადოებრივი ხასიათის საგნები და მოვლენები, ე.ი. ყველაფერი, რაც ადამიანთა მოქმედებისა და ურთიერთობის ნაყოფია;

ბ) შესადარებლად გამოყენებულია ბუნების საგნები და მოვლენები; მაგალითად, მნათობები, ბუნების მოვლენები, ცხოველთა სამყარო, მცენარეთა სამყარო და სხვ.“ (გვენცაძე, 1974, 53).

შედარების ობიექტებად გაცილებით ჭარბობს ადამიანური, საზოგადოებრივი ხასიათის საგნები და მოვლენები.

ა) **ადამიანი** (მისი რომელიმე ნიშან-თვისება, მახასიათებელი, სპეციალობა და ა.შ.), როგორც შედარების ობიექტი:

„რცხილა ლაწალუწით გადაეშვა..., სახელოვან **გმირსავით** დაეცა უთანასწორო ბრძოლაში“ (თურდოსპირელი, 1947, 6);

„ზოგი მაღალია, დიდია, ჯანსაღია. ამაყად ატყორცნილა სივრცეში. ზოგი კი დაბალი, მოკრუნხული, **თითქოს დაკუტებულიყოს**“ (თურდოსპირელი, 1947, 8);

„ეს **ბექობებიც** ისეთივე საამაყო ძეგლებია ძველი ქართველი **გმირებისა, როგორც** ქონგურიანი **კოშკები**, ყოველ ხეობაში რომ გვხვდება, ჯერ კიდევ მკერდშეულეწავი“ (თურდოსპირელი, 1947, 12);

„**ჯალათის თვალებით** საზიზღრად გვიყურებს ეს **ციხე** და მაინც გვიყვარს“ (თურდოსპირელი, 1933, 65);

„ჩაისუნთქა ბოლი და ისე ღრმად **ამოაბოლა, თითქოს წარსულ დროთა ვარამი** თან უნდა ამოაყოლოსო“ (თურდოსპირელი, 1947, 33);

„დასახიჩრებულ **მეომრებით** იდგნენ ნაცარსა და ნახშირს შორის და თითქოს სჩიოდნენ - რისთვის, რისთვის და რათა?!“ (თურდოსპირელი, 1947, 42);

„მათში **ყაყაჩოები** მაინც გაირჩეოდნენ. ისინი ისე გაფანტულიყვნენ **ზღვასავით** მღელვარე, დაღანა ყვავილებში, როგორც **სახეაჟინქილებული ბავშვები**“ (თურდოსპირელი, 1947, 54);

„**ნაკად-წყარონი მგოსნის ლექსებსავით** **წკრიალებენ... მოღურღურებენ**“ (თურდოსპირელი, 1947, 58);

ბ) შედარების ობიექტად აღებულია **საზოგადოებრივი საგანი**:

„ჩემს თანამგზავრს, როგორც ყველა სვანს, გონებაც და ენაც **სატევარსავით** უჭრიდა“ (თურდოსპირელი, 1947, 12);

„მათში მჭრელი **სადგისივით** გაიკვესეს უცნაურმა, წვიტ-წვიტა თვალებმა“ (თურდოსპირელი, 1933, 59);

„**ძერა** შურდულით **გამოტყორცნილ ქვასავით** მოსრიალობდა ნიშანში ამოღებულ ვარიისაკენ“ (თურდოსპირელი, 1947, 19);

„... თილისმიან **ბრძანებასავით** ჩასწვდათ გულში“ (თურდოსპირელი, 1947, 31);

„ხან **ვერცხლის წყალივით** ხტიან, ხან ცბიერად თამაშობენ“ (1933: 59);

„მეეტლები მიაქროლებენ **შვილდისავით** მორკალულ გაგელებულ ცხენებს“ (თურდოსპირელი, 1933, 63);

„-საოცარია, არავითარი მეზაღე არა ჰზრუნავს მათზე... არავინ უვლის... ასე ტურფანი კი არიან... **თითქოს ნამით** კი არა, **მსუყე რმით** იყვნენ ნაპკურები და ნაზარდნი (თურდოსპირელი, 1947, 55)...

გ) შედარების ობიექტად აღებულია **რაიმე მოვლენა, ქმედება ჩადენილი ადამიანის მიერ**:

„მასწავლებლო,-... მე მეგონა, რომ ურთიერთშორის ბრძოლა მხოლოდ ადამიანებში სწარმოებდა. აქ კი ისეთი სურათია, **თითქოს** ამათშიაც **ბრძოლა** იყოს გაჩაღებული“

(თურდოსპირელი, 1947, 7);

„თოვლი!...თოვლი!...თოვლი!...-მერცხლებივით მიმოიფრინა ამ ძახილმა ბავშვთა ოთახებში, როდესაც თვალი მოჰკრეს ბამბის ნაბდებით წამოსხმულ ხეებს. ყველა ააფოფინა...გაახარა“ (თურდოსპირელი, 1947, 60).

დ) ბუნების საგნები და მოვლენები შედარების ობიექტად:

„მათთან იყო მასწავლებელიც, რომელსაც ბავშვები ყაყაჩოებსავით შემოფრქვეოდნენ?“ (თურდოსპირელი, 1947, 7);

„-არ აზიდო!..-გაისმა პირველად და იმ ხმამ ელვასავით დაურბინა ყმებს!... (თურდოსპირელი, 1947, 31);

„მათში ყაყაჩოები მაინც გაირჩეოდნენ. ისინი ისე გაფანტულიყვნენ ზღვასავით მღელვარე, დადანა ყვავილებში, როგორც სახეაჟინჟდილებული ბავშვები“ (თურდოსპირელი, 1947, 54);

„ცხვრები ველზე სპეტაკ ნისლებივით გაფანტულან და ალერსიანად იცმუყნებინ... ახლად შედერილ ბალახს სწიწნიან“... (თურდოსპირელი, 1947, 58);

„უდაბნოსავით გამაბულიყო ზამთრის ღამეები“ (თურდოსპირელი, 1947, 60);

„მარტის დღესავით შეეცვალათ გიჟმაჟებს სახე“... (თურდოსპირელი, 1947, 61);

„...მისი გული იგრძნობს და ნიავსავით მოფრინდება ჩვენთან საშველად“ (თურდოსპირელი, 1933, 65);

„როგორც გაზაფხულს არ შემოეღევა ყვავილები და ჩიორები, ისე აღმზრდელებს არ დააკლდებათ ალერსი“... (თურდოსპირელი, 1947, 62).

ცალკე ქვეჯგუფად გამოვყავით ზოონიმიები, როგორც შესადარებელი ობიექტები. აღმოჩნდა, რომ ეს მოვლენა განსაკუთრებული ინტენსივობითაა და აღნიშნული ჯგუფის ნახევარზე მეტს სწორედ ზოონიმიები შეადგენენ:

„ალის გველების ქარავნები შემოესია ტყეს. არსად ჩანდა მშველელი... გაშალა წითელი ფრთები და წელში გამწყდარ გველსავით იწყო სივილი“ (თურდოსპირელი, 1947, 41);

„უტიფარნი! სად არიან მათი ქოსმანი გოჭებივით ნასუქი შვილები?“ (თურდოსპირელი, 1947, 52);

„თოვლი!...თოვლი!...თოვლი!...-მერცხლებივით მიმოიფრინა ამ ძახილმა ბავშვთა ოთახებში, როდესაც თვალი მოჰკრეს ბამბის ნაბდებით წამოსხმულ ხეებს. ყველა ააფოფინა...გაახარა“ (თურდოსპირელი, 1947, 60);

„ჩვენ თევზების ქარავნსავით ვსხლტით შემოსეულ კაზაკთა შორის“ (თურდოსპირელი, 1933, 62);

„ქველმომქედი მანდილოსნები გედებივით დაცურავდნენ“ (თურდოსპირელი, 1933, 19);

„თოვლის ფიფქები პეპელებივით ფარფატებდნენ და იწვევდნენ ბავშვებს საანცოდ“ (თურდოსპირელი, 1947, 61).

ეპითეტი მხატვრული და არამხატვრული სტილის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ხაზს უსვამს მოვლენის თვისებას და გამოიყენება შთაბეჭდილების გამლიერების მიზნით. იგი მკვეთრად გამოხატავს მთქმელის იდეურ თვალსაზრისს და სუბიექტური მრწამსის ნიუანსებს. ამასთან ერთად, ალამაზებს და ამკობს საგნისა და მოვლენის სახეს, ან უარყოფითად ამდაბლებს და აკნინებს მას (გვენცაძე 1991, 33).

განარჩევნ ეპითეტების სხვადასხვა სახეს: მუდმივს, მეტაფორულს და ა.შ. საანალიზო ტექსტებში დადასტურებული ეპითეტები ჩვენც რამდენიმე კატეგორიად დავყავით.

მუდმივი ეპითეტებიდან ყველაზე ხშირი და ნიშანდობლივი აღმოჩნდა მსაზღვრელებად: **საცოდავი, მოხუცი, მწარე, ავი, შხამიანი...**

„უღრანი ტყით შენაბდულ მთებში მოხუც სვანთან ერთად ვმოგზაურობდი“ (თურდოსპირელი, 1947, 12);

„მკაცრი რამ ყოფილა ის ამაღლებული... უჯიათი... მოსისხარი... (თურდოსპირელი, 1947, 28);

„ბევრ მწვერვალზე აუზიდნიათ საცოდავ ყმებს საშენებელი მასალა (თურდოსპირელი, 1947, 29);

„ყველას მწარე ღიმილმა გადაჰკრა“ (თურდოსპირელი, 1947, 33);

„გაჭირვებაში მიზოზინებდა ჩვენი **ტიალი ცხოვრება**“ (თურდოსპირელი, 1947, 49);

„**ნოტიო სარდაფში** ცხოვრებისაგან სულშეხუთული ვისწრაფოდით სასახლეებისაკენ, ავდიოდით მახლობლად მდგომ ხეებზე და იქიდან ვუმზერდით ქუდბედიანებს“ (თურდოსპირელი, 1947, 51).

განსაკუთრებული კვლევის საგნად კი ჩვენთვის **მეტაფორული ეპითეტი** იქცა. რაოდენობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს მოვლენა განსაკუთრებულია:

„**ულრანი ტყით შენაბდულ მთებში** მოხუც სვანთან ერთად ვმოგზაურობდი“ (თურდოსპირელი, 1947, 12);

„**ყალაქარი ნისლის დროშები** წითლად გაშლილიყვნენ ცაზე“ (თურდოსპირელი, 1947, 12);

„**უფათერაკოდ გადავიარეთ გიჟთვალა ხეები**“ (თურდოსპირელი, 1947, 12);

„ფრინველები **მწუხარე ჟრიაშულით** ემშვიდობებოდნენ ბუდეებს და მიფრინავდნენ, მაგრამ სადა - თვითონაც არ იცოდნენ...“ (თურდოსპირელი, 1947, 42)

„**ზოგი მაღალია, დიდია, ჯანსაღია**. ამაყად ატყორცნილა სივრცეში. **ზოგი კი დაბალი, მოკრუნჩხული**, თითქოს დაკუტებულიყოს. მზისკენ მიიწევს, თავი კი ჩრდილისთვის ვერ დაუღწევია, ამაოდ ცდილობს წელში გასწორებას. აქაც, როგორც ადამიანთა შორის, **სასტიკი ბრძოლა** ყოფილა გამართული სისცოცხლისათვის, მზისთვის, სივრცისათვის, საკვებისათვის. (თურდოსპირელი, 1947, 8);

„ხეების **შემომწვარი ჩონჩხები** გატიტვლებული იყვნენ აღმართულნი“ (თურდოსპირელი, 1947, 42);

„ეს ბექობებიც ისეთივე საამაყო ძეგლებია ძველი ქართველი გმირებისა, როგორც **ქონგურიანი კოშკები**, ყოველ ხეობაში რომ გვხვდება, ჯერ კიდევ **მკერდშუღლეწავი**“ (თურდოსპირელი, 1947, 12);

„ქართველი მუდამ მღერის. თავისთავად ეძალებოდა ენას **მედიდური სიმღერა...** სიმღერა, გამარჯვების რწმენის ჩამგონებელი (თურდოსპირელი, 1947, 14);

„უნაგირებზე მიძგნაფულმა მხედრებმა დაზარნიშული ფარები მოიმარჯვეს და ლილეს მომახილით, ცხენების თქაფა-თქუფით გადაიარეს: მათათა **დაკბილული გრებილები, დაკუპრებული ხეობანი, შმაგი უფსკრულები**“... მიილტვოდნენ და მიაბნელებდნენ გარემოს“ (თურდოსპირელი, 1947, 15);

„ბევრი რომ ვეღარ დაბრუნებულა, ეს **მცირე კვიმატი ბექობიც** მოწმობს,-მწუხარედ წარმოსთქვა მოხუცმა“ (თურდოსპირელი, 1947, 15);

„ეგება ამ სიმაღლის ბრალია რომ **დიად ხელოვანს, გაზაფხულს**, აქ მოსვლა, ცოტა არ იყოს, შეჰგვიანებია“ (თურდოსპირელი, 1947, 26);

„...ახ, რა ყოფილა **ხანმარი!**... იგი **ხარია გაუმადლარი**...“ (1947, 41);

„**აუჩუყა**“ ამ ამბავმა „**გულნაზუქ**“ ბურჟუაზიის **ბანოვანებს** გული და გადასწყვიტეს - ჩვენთვისაც ეღირსებინათ ეს დღესასწაული“ (თურდოსპირელი, 1947, 51);

„**დირექტორი მელა კაცი** იყო“ (თურდოსპირელი, 1933, 38);

„**გიმნაზიის წინ** ზედაწყვეტა იყო... საშინლად ჰყინავდა... გვიძლიერდებოდა სურვილი, როგორმე შეემძვრალიყავით და გაგვეთბო **გაჭირბლული სახსრები**. შლაგა-შლუგით მივიბრძოდით... შევედით, ვათვალიერებდი დარბაზს... ბოზოლები... ბოზოლები... კნეინები... კნიჟნები“... (თურდოსპირელი, 1947, 51);

„**ტბის კიდეებზე ზურმუხტის ბაყაყებსაც** გაუბამთ შიქასტები...წვრილიანში ბაჭიები ყურებს აწკაპუნებენ **გულსავსე სიხარულით**“ (თურდოსპირელი, 1947, 58).

ეპითეტი საგანს ან მოვლენას განსაზღვრავს რაიმე ნიშნის მიხედვით. ეს შეიძლება იყოს როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ფაქტორი. გამოიკვეთა, რომ მეტად ნიშანდობლივია პერსონაჟის (მთავრის თუ არამთავრის) გარეგნული ნიშნის მხატვრული განსაზღვრება:

„უნაგირებზე მიძგნაფულმა მხედრებმა დაზარნიშული ფარები მოიმარჯვეს და ლილეს მომახილით, ცხენების თქაფა-თქუფით გადაიარეს... მიილტვოდნენ და მიაბნელებდნენ გარემოს“ (თურდოსპირელი, 1947, 15);

„**მაინც ვერ დამალა ცრემლებით დაღორთილი სახე**“ (თურდოსპირელი, 1947, 15);

„**კუკუნა ბავშვები**“ (თურდოსპირელი, 1947, 62);

„**დადგრემილებს** შუბლი გაეხსნათ... გულს მოეფონათ... ლოყები შეუბროწეულდათ. გადასწტყვიტეს კარგა მოეფიქრათ და თითოეულს ცალ-ცალკე მიეწერა პასუხი **მოსიყვარულე მეომრისათვის**“ (თურდოსპირელი, 1947, 66).

შედარებით ნაკლებად დასტურდება **ფსიქოლოგიური და პეიზაჟური ეპითეტები**.

ფსიქოლოგიური ეპითეტის საშუალებით ავტორი პერსონაჟის შინაგან, სულიერ მდგომარეობას წარმოაჩენს.

„ამ დროს ველზე გამოჩნდნენ **მოკასკასე ბავშვები** და გარემო უფრო დაამშვენეს... ააჟიჟინეს... ასკილს გაუხარდა მათი მოვლენა“... (თურდოსპირელი, 1947, 54)

„კიდევ ბევრს იჭარტალებდა ასკილი, მაგრამ მას ბოროტ ფიქრთა დენა შეუწყვიტა **ბავშვების აღტაცებულმა ჟრიამულმა**“ (თურდოსპირელი, 1947, 55);

„უცბად **გიჟმაჟმა სანდალამ** სარმა გამოსდო „ზამთარს“ და ისე გაშხლართა, რომ ასტამით ასაფხეკი გახდა“ (თურდოსპირელი, 1947, 58);

„**მმაფრი სიძულვილით** აღტკინებული შურს ვიძიებთ“ (თურდოსპირელი, 1947, 65).

პეიზაჟური ეპითეტით ბუნების სურათი აღიწერება:

„...ახ, რა ყოფილა ხანძარი!... იგი ხარია გაუმადლარი: ხარბად ძირში სძოვს ბალახ-ბულახებს, ყლორტებსა და ხეებზე ფოთლებს არა სტოვებს. თუნდა კენწეროებზე შრიალებდეს, მისწვდება, **გრძელი, წითელი ენით** და მიკორტნ-მოკორტნის, გაამიშვლებს“ (თურდოსპირელი, 1947, 41);

„ალის გველების ქარავნები შემოესია ტყეს. არსად ჩანდა მშველელი... გაშალა **წითელი ფრთები** და წელში გამწყდარ გველსავით იწყო სივილი“ (თურდოსპირელი, 1947, 41).

„ტყე იგივე საზოგადოებაა...რიგი იმარჯვებს, რიგი მარცხდება. აქა ვხედავთ ბუნების დიადი თვისების გამომჟღავნებას, შერჩევას. იმარჯვებს **უფრო თამამი, ძლიერი, ჯანსაღი, სიცოცხლისათვის უკეთესად მომზადებული, სიცოცხლის უნარიანობის ჭარბად მქონე**“ (თურდოსპირელი, 1947, 8);

„გაიმართა **მედგარი ბრძოლა** წვიმასა და ხანძარს შორის...წამოუშინა **კოკისპირულმა წვიმამ** და ...იძლია **ხანძარი** ... დაეცა ღონეგამოლეული. ჩაქრა“ (თურდოსპირელი, 1947, 42);

„მათში ყაყაჩოები მაინც გაირჩეოდნენ. ისინი ისე გაფანტულიყვნენ ზღვასავით **მღელვარე, დაღანა ყვავილებში**, როგორც სახეაჟინჟილებული ბავშვები“ (თურდოსპირელი, 1947, 54);

„იქვე **კელამწუტა ასკილიც** ჰყვავდა“ (თურდოსპირელი, 1947, 54);

„ლეგაჩოხა ბიჭები - მგლები - ეშხზე მოუყვანია მზის **ცხოველ სხივებს** და ომახიანად გაჰყმუიან **ულრან ტყეებს**“... (თურდოსპირელი, 1947, 58);

„ჰქრებიან **ნაზი შემოდგომის** ნარინჯ-თურინჯისფრად დამშვენებული სურათები“ (თურდოსპირელი, 1947, 60);

„ის ჰმოსავს **ხეებს ქარქარა, ხაოიანი თეთრი ქულაჯებით**“ (თურდოსპირელი, 1947, 64).

გაპიროვნება (პერსონიფიკაცია) მხატვრული გამოსახვის ხერხია, რომლისთვისაც დამახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, **უსულო და სულიერი საგნების გაადამიანება**. გაპიროვნებისას უსულო საგანი წარმოგვიდგება როგორც ადამიანი, რომელიც გრძნობს, მსჯელობს, მოქმედებს.

გამოყოფენ გაპიროვნების ორ სახეს:

„1. ზოგიერთ განპიროვნებაში ადამიანის თვისებები გადატანილია ბუნებაზე ან კონკრეტულ საგანზე;

2. ზოგიერთ განპიროვნებაში ადამიანის თვისებები გადატანილია განყენებულ მოვლენებზე“ (გაჩეჩილაძე, 1957, 300).

ჩვენი საანალიზო მასალისათვის დამახასიათებელია **ადამიანის თვისებების გადატანა ბუნებაზე ან საგანზე**:

„გეთაყვათ, ეს ვინ არის? ისე გაბარჯლულა, რომ ლამის მთლად გამსრისოს, - **დაიკვნესა თრიმლმა** და შეეცადა კვრინჩხისათვის გზა აექცივნა“ (თურდოსპირელი, 1947, 6);

„**ტყემ სიხარულისაგან შრიალი მორთო**“ (თურდოსპირელი, 1947, 9);

„მერე, მერე? - **შეეკითხა ვერხვი, რომელიც ძალზე გაცრეცილიყო შიშისაგან**“

(თურდოსპირელი, 1947, 41);

„ტყეს ჟრჟოლამ დაუარა“ (თურდოსპირელი, 1947, 5);

„ზოგი მაღალია, დიდია, ჯანსაღია. ამაყად ატყორცნილა სივრცეში. ზოგი კი დაბალი, მოკრუნული, თითქოს დაკუთებულიყოს. მზისკენ მიიწევს, თავი კი ჩრდილისთვის ვერ დაუღწევია, ამაოდ ცდილობს წელში გასწორებას“ (თურდოსპირელი, 1947, 8);

„ფიქრები ნიადაგ საგიჟმაჟოდ მოუწოდებენ“ (თურდოსპირელი, 1947, 43);

„გაჭირვებაში მიზოზინებდა ჩვენი ტიალი ცხოვრება“ (თურდოსპირელი, 1947, 49);

„ქოხში ობლები ცხოვრობენ... ქარი ანჩხლობს... დამე ჭინკების შეშლილ თვალებით იჭრება შიგა... ჰშიათ... სცივათ... ტყუილად მოუხმობენ მშობლებს“... (თურდოსპირელი, 1947, 52);

„ამ დროს ველზე გამოჩნდნენ მოკასკასე ბავშვები და გარემო უფრო დაამშვენეს... ააჟიჟინეს... ასკილს გაუხარდა მათი მოვლენა“... (თურდოსპირელი, 1947, 54);

„რა ვქნა, რადა ხარ ნიადაგ ჩვენი ძვირის მთქმელი? - მიუსაყვედურეს ყაყაჩოებმა... - ამაოდ სცდილობ, შეგვაჯავრო ბავშვები... განა შენა გგავართ, რომ შურით დავდნეთ, დავილიოთ“ (თურდოსპირელი, 1947, 55);

„კიდევ ბევრს იჭარტალებდა ასკილი, მაგრამ მას ბოროტ ფიქრთა დენა შეუწყვიტა ბავშვების აღტაცებულმა ჟრამულმა“ (თურდოსპირელი, 1947, 55);

„სიამოვნებისგან ათროლდნენ ყაყაჩოები... დაე, მოსწყვიტონ ბავშვებმა... მათთან სიკვდილი ურჩევნიათ ამ ინადიან ასკილთან მეზობლობას“... (თურდოსპირელი, 1947, 56);

„გაწილელბული მიიპარება ზამთარი“ (თურდოსპირელი, 1947, 57);

„ეგ არ ბრძანდებოდა, რომ ყინვის ნემსებით ხან აღმა შეისეირნებდა, ხან დაღმა? დღე ერთი იყო და მისი ნამქერ-ზვავები უანგარიშო“ (თურდოსპირელი, 1947, 57);

„რატომ ქარიშხალი მაინც არ ჩამოეფარხმლება?... იქნებ მოთვინიერდა?... არა... დაუძლურებულა... კვეთებიანს დამსგავსებია... მოძუძულა... სუსხის კლანჭი დასცვეთია... ძლივს მიბღოტავს... გაზაფხულდა... გაზაფხულდა!“... (თურდოსპირელი, 1947, 58);

„მთელი ღამის განმავლობაში ქვითინებდა ქარი“ (თურდოსპირელი, 1947, 60);

„მე არ მინდა მათს თვალებში ობლობის სევდა იყოს ჩაწოლილი“ (თურდოსპირელი, 1947, 65);

„- სალამი, სალამი, სალამი! - შემოსმახა ყინვის ჭახჭახით ზამთარმა... ზამთარს ყველა საჩუქარი წამოუღია“ (თურდოსპირელი, 1961, 86)...

ამდენად, საკითხის ანალიზი ადასტურებს, რომ ტროპული მეტეველების ნიმუშების სიუხვე მხატვრული ტექსტის შექმნის ძირითადი სტრატეგიაა. ისინი, მართლაც, გადამწყვეტ როლს ასრულებენ ექსპრესიისა და ეფექტის მიღწევაში. მაღალმხატვრული ოსტატობით მოხმობილი ნაირგვარი საშუალებები კი მკითხველს ეხმარება ტექსტის იდეური საზრისის უკეთ აღქმა-გაანალიზებაში.

ლიტერატურა:

ნ. გელდიაშვილი, ნ. კოჭლოშვილი 2023 - ნ. გელდიაშვილი, ნ. კოჭლოშვილი, ქართული მცირე პროზის ლიტერატურული და ლინგვისტური წახნაგები, თბილისი.

ალ. გვენცაძე 1991 - ალ. გვენცაძე 1991, ზოგადი სტილისტიკის საკითხები, თბილისი

ზ. ცოტნიაშვილი 2002 - ზ. ცოტნიაშვილი 2002, თანამედროვე ქართული ნოველის მხატვრული თავისებურებანი, თსუ

საანალიზო წყაროები:

დ. თურდოსპირელი 1961- დ. თურდოსპირელი, არაზინდო, გამომცემლობა, „ნაკადული“, თბილისი, 1961.

დ. თურდოსპირელი 1947- დ. თურდოსპირელი, საბავშვო მოთხრობები, საბლიტგამი, თბილისი, 1947.

დ. თურდოსპირელი 1933- დ. თურდოსპირელი, ეპიზოდები ახალგაზრდათა ცხოვრებიდან, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1933.

Main Strategies for Creating Literary Texts in Georgian

Geldiashvili Nunu

Iakob Gogebashvili State University, Telavi

<https://orcid.org/0000-0001-6846-7924>

Abstract

Abstract. *Literary language, as an expression of practical stylistics, constitutes a distinct field of study and is clearly differentiated from other functional styles. In Georgian, various linguistic resources are considered for creating this type of text; however, it is ultimately the writer's skill in strategically and masterfully selecting among them to achieve specific goals and express ideas that determines success. This is by no means an easy task. In our view, it is through such careful selection that a writer can captivate readers, develop a unique individual style, and create a personal world that sets them apart from others. In this regard, the focus of our study is the works of Davit Turdospereli (Chkheidze).*

Both quantitative and qualitative research reveal that, for a writer, the key concern is not only their worldview but also the adequacy of its expression, which is excellently achieved through the main strategies for creating literary texts—namely, the richness and diversity of tropological expressions. Among these, the primary **metaphor** stands out as a direct product of the author's creativity and as the most effective means of shaping literary form. Through these metaphors, the connection of features and qualities of objects and events is determined directly by the writer's individuality: „ტყეს სიხარულისაგან სახე აუფეთქდა“ [tkes sikharulisagan sakhe aupetqda] (The forest's face burst with joy); „...ბნელოდა კიდეც, ნესტიც იდგა, შიმშილიც იზმორებოდა“ [... bneloda kidets, nestits idga, shimshilits izmoreboda] (...it grew dark, the dampness lingered, and hunger gnawed); „ერთ მთვარიან ღამეს გაისმა ზამთრის თითების კაკუნი“ [ert mtvarian ghames gaisma zamtris Titebis kakuni] (On a moonlit night, the tapping of winter's fingers was heard).

In **comparison**, through this stylistic device of representation and one of the most prominent forms of literary description, Davit Turdospereli masterfully achieves the juxtaposition of objects and events or, based on the transfer of externally similar or internally characteristic features, their contrast. The texts analyzed contain a rich array of comparisons created through various techniques, imbued with emotional nuance: „-საოცარია, არავითარი მეზღე არა ჰზრუნავს მათზე... არავინ უვლის... ასე ტურფანი კი არიან... თითქოს ნამით კი არა, მსუყე რძით იყვნენ ნაპკურები და ნაზარდნი...“ [saotsaria, aravitari mebaghe ara hzrunavs matze... aravin uvlis... ase turphani ki arian... titqos namit ki ara, msuke rdzit ikvnen napkurebi da nazardni] (It is astonishing, no gardener tends to them... no one cares for them... yet they are so tender... as if they were not nourished by **sap**, but by **rich milk**...), „რცხილა ლაწალუწით გადაეშვა... სახელოვან გმირსავით დაეცა უთანასწორო ბრძოლაში“ [rtskhila latsalutsit gadaeshva... sakhelovan gmirsavit daeca utanastsoro brdzolashi] (The chestnut fell with a flutter... it fell like a celebrated hero in an uneven battle.)

The **epithet** is an integral component of both literary and non-literary styles, emphasizing a property of an event and used to enhance the reader's impression. It vividly expresses the speaker's ideological perspective and the nuances of subjective attitude. At the same time, it beautifies and adorns the appearance of an object or event, or, conversely, can demean and belittle it. For our study, metaphorical epithets became a particular focus of investigation. Quantitative analysis showed that this phenomenon is a prominently characteristic strategy: „გვიძლიერდებოდა სურვილი, როგორმე შევმძვრალიყავით და გაგვეთბო გაჭირბლული სახსრები“ [gvidzlierdeboda survili, rogorme shevmdzvralikavit da gagvetbo gacirkhluli sakhsrebi] (The desire grew stronger to somehow escape and warm our shivering **bodies**). „უფათერაკოდ გადავიარეთ გიჟთვალა ხევები“ [uphaterakod gadaviaret gijTvala khevebi] (We crossed the ravines as if possessed by madness). „ხეების შემომწვარი ჩონჩხები გატიტვლებული იყვნენ აღმართულნი“ [kheebis shemtsvari chonchkhebi gatitvlebuli ikvnen aghmartulni] (The charred skeletons of trees were raised, dried out

and withered).

Personification is a stylistic device in literary expression characterized by the attribution of human qualities to objects and events, effectively **humanizing both inanimate and spiritual entities**. In personification, an inanimate object is presented as a human being who feels, reasons, and acts: „ტყეს ჟრჟოლამ დაუარა“ [tkes zjrjzlam dauara] (A shiver ran through the forest). „კიდევ ბევრს იჭარტალებდა ასკილი, მაგრამ ბოროტ ფიქრთა დენა შეუწყვიტა ბავშვების ჟრიამულმა“ [kidev bevrs itcharkhlebeda askili, magram borot piqrta dena sheutskvita bavshvebis jriamulma] (The ash tree still cracked in many places, but the children's joyful noise cut through the flow of evil thoughts). „სიამოვნებისგან ათრთოლდნენ ყაყაჩოები“ [siamovnebisagan atrtoldnen kakachoebi] (The poppies trembled with pleasure). „მთელი ღამის განმავლობაში ქვითინებდა ქარი“ [mteli ghamis ganmavlobashi qvitinebda qari] (The wind wailed throughout the night)...

Thus, the analysis confirms that the richness of tropological expressions is a fundamental strategy in creating literary texts. These devices indeed play a decisive role in achieving textual expression and effect. The diverse means, employed with high artistic mastery, help the reader to better perceive and analyze the ideological meaning of the text.

Key words: Literary Texts; Main Strategies; the works of Davit Turdospereli (Chkheidze).